

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
სხდომის ოქმი №1, 7.02.2011 წ.

რექტორი

ლ.ქელბაქიანი

მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი

- 1.1 ეს დებულება აწესრიგებს ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად.
- 1.2 დოქტორანტურის მიზანია: სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება და ოპტიმიზაცია, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენის ხელშეწყობა, დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში.

2. დოქტორანტურა

- 1.1 ქუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით
- 1.2 დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
- 1.3 დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
- 1.4 სადოქტორო პროგრამა შემუშავდება ქუ-ს ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ და/ან პარტნიორ უნივერსიტეტებთან ან სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად.
- 1.5 სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ქუ სრული ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულების სრული ან ასოცირებული პროფესორი/მეცნიერ-თანამშრომელი და/ან პროგრამის მიხედვით მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი.
- 1.6 დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.

3. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

- 3.1 დოქტორანტმა უნდა შეასრულოს 180 კრედიტი. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3, დანარჩენი 2/3 ეთმობა კვლევით კომპონენტს.
- 3.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი - გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. მასში შედის:
 - სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
 - ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში - 3 კრედიტი
 - ეკონომიკური კვლევის მეთოდების მოდული, რომელიც აერთიანებს საგნებს:
 - პროგნოსტიკა - 4 კრედიტი
 - ეკონომეტრიკა - 5 კრედიტი
 - სხვადასხვა დარგობრივი სასწავლო კურსები - 18კრედიტი
 - პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი
 - სემინარები - 15 კრედიტი.

3.3. დოქტორანტი კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს და მასში შედის:

- კოლოქვიუმები - 40 კრედიტი (ორი კოლოქვიუმი, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში);
- სამეცნიერო სტატიების პუბლიკაცია, რომლებიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და გარკვეული წვლილი შეჰქონდეს მეცნიერების განვითარებაში - 15 კრედიტი (სამი სტატია, თითოეული 5 კრედიტიანი);
- სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 65 კრედიტი;

4. დოქტორანტურაში მიღების წესები

- 4.1 დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
- 4.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ მაგისტრს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 4.3 დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის - C₁ დონეზე ცოდნა და სადოქტორო სწავლების მენეჯერისათვის შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატების წარდგენა. თუ დოქტორანტი ასეთ სერთიფიკატებს არ ფლობს, მაშინ იგი აბარებს გამოცდას ქუ-ს საგამოცდო კომისიასთან სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე.
- 4.4 უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება წარმოადგენს ქუ-ს დამატებით სავალდებულო მოთხოვნას და იგი არ შედის სასწავლო კომპონენტში.
- 4.5 საერთაშორისო სერთიფიკატი არ მოეთხოვებათ მაგისტრებს, რომლებმაც მაგისტრატურა დაასრულეს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში და შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამით სწავლის დაწყების წინ უკვე გაიარეს შესაბამისი დონის ტესტური გამოცდები, რაზეც წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტაციას.
- 4.6 დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, აბარებს გამოცდას ქართულ ენაში ქუ-ში შექმნილ სპეციალურ საგამოცდო კომისიასთან.
- 4.7 სადოქტორო პროგრამებზე მიღება ხდება წელიწადში ორჯერ შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებზე:
- 4.8 სადოქტორო პროგრამებზე მიღება ითვალისწინებს ხუთ ეტაპს: საბუთების შემოტანას, მომავალი ხელმძღვანელიდან თანხმობის მიღებას, გამოცდის ჩაბარებას სპეციალობასა და უცხო ენაში, სადოქტორო პროგრამაზე რეგისტრაციას და უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებას.
- 4.9 საბუთების შემოტანიდან და დარეგისტრირებიდან პროგრამის დაწყებამდე განსაზღვრულია ორთვიანი მოსამზადებელი პერიოდი.
- 4.10 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა 3, მაგრამ არაუმეტეს 6 წელი.

5 განაცხადი

5.1 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა შეავსონ სპეციალური განაცხადი-აპლიკაცია, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ასლი;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დედანი და ასლი;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერ-სპეციალისტის სარეკომენდაციო წერილები;
- სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შრომები, კონფერენციებში მონაწილეობა), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;

- სულ მცირე, ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია, გამოქვეყნებული საქართველოში გამოცემულ და შესაბამის ეროვნულ კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ბეჭდურ და/ან ელექტრონულ გამოცემაში (თუ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველს არა აქვს სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული არცერთი ნაშრომი, მას შეუძლია სადისერტაციო საბჭოს წარმოდგინოს სამაგისტრო ნაშრომი, ან სამაგისტრო ნაშრომის, მისი აზრით, ყველაზე ღირებული მონაკვეთი. საბჭო გაეცნობა სამაგისტრო ნაშრომს, გაესაუბრება კანდიდატს და დაასკვნის კანდიდატურის პროგრამაზე მიღების საკითხს).

6 დოქტორანტურაში რეგისტრაცია

- 6.1 სრული განაკვეთით სადოქტორო პროგრამაზე რეგისტრაცია გულისხმობს, რომ დოქტორანტი იხდის რეგისტრაციის მომენტში I სასწავლო წლის ღირებულებას.
- 6.2 ყოველი სასწავლო წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი უნდა დარეგისტრირდეს მომდევნო სასწავლო წელზე.
- 6.3 რეგისტრაციის შენარჩუნება აუცილებელია ხარისხის დაცვამდე;

7 სამეცნიერო ხელმძღვანელი

- 7.1 სადისერტაციო საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელით.
- 7.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული სრული პროფესორი ან, გამონაკლის შემთხვევაში, ასოცირებული პროფესორი, აკადემიური საბჭოს მიერ მინიჭებული ერთჯერადი უფლებით.
- 7.3 სამეცნიერო ხელმძღვანელი სადოქტორო პროგრამების მენეჯერს წარუდგენს წერილობით თანხმობას დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.
- 7.4 სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.
- 7.5 დისერტაციის ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად ადგენს ინდივიდუალური გეგმას. ამასთან, ხელმძღვანელი კონტროლს უწევს გეგმის შესრულებას. ინდივიდუალური გეგმა იქმნება კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად და ცოდნის გასაღრმავებლად. მასში მოცემული უნდა იყოს კვლევის სათაური, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, სასწავლო კომპონენტის და სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის შესრულების სავარაუდო გრაფიკი.
- 7.6 დისერტაციის ხელმძღვანელი ახდენს დოქტორანტის სამეცნიერო სტატიის, კოლოქვიუმისა და სემინარის წინასწარ შეფასებას სათანადო ვიზირებით;
- 7.7 სადისერტაციო თემას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- 7.8 ქუთაისის უნივერსიტეტის ერთი პროფესორი ამავე უნივერსიტეტში ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
- 7.9 იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან პროგრამის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.
- 7.10 სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ქუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს, სამეცნიერო ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის ხელი მოეწერება ახალ ხელშეკრულებას.

8 სადოქტორო პროგრამის დაფინანსება

8.1 დოქტორანტურის დაფინანსება ხორციელდება კერძო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, კერძო ტრანსფერის, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

9 დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

9.1 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება შეუჩერდეს დოქტორანტის სტატუსი:

- უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;
- სარეგისტრაციო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა მიზეზებით.
- დოქტორანტს შეუძლია აღდგეს პროგრამაზე და დაასრულოს თავისი სადოქტორო დისერტაცია სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში. 3 წლის გასვლის შემდეგ პროგრამაზე აღდგენის სურვილის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ წელზე დოქტორანტი კარგავს 15 კრედიტს სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში, ვინაიდან მის შრომას დასჭირდება განახლება-გადამუშავება.

9.2 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება შეუწყდეს დოქტორანტის სტატუსი:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების დროს.

სტატუსის შეწყვეტის შემდეგ დისერტანტი კარგავს ქუთაისის უნივერსიტეტში დოქტორანტის სტატუსში აღდგენის უფლებას, მაგრამ შეუძლია ისარგებლოს მობილობით სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემიდან 6 თვის მანძილზე.

10 სადისერტაციო ნაშრომი

10.1 დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

10.2 დისერტაცია შესრულებულ უნდა იქნას ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

10.3 განსაკუთრებულ შემთხვევებში, სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

10.4 ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე (არაუმცირეს 1 ნაბეჭდი ფორმისა).

10.5 სადისერტაციო ნაშრომის სარეკომენდაციო მოცულობაა - 180-200 გვერდი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა.შ.).

11 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

11.1 სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეფერატი საბჭოს გადაეცემა ოთხ აკინძულ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად.

11.2 სადისერტაციო ნაშრომთან ერთად, დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი;

- სამეცნიერო სემინარების, ფორუმების, ჟურნალების და სამეცნიერო გამოცემების ნუსხა, სადაც მოხსენებულ (გამოქვეყნებულ) იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები.

11.3 დისერტაციის წარდგენა დასაშვებია რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში ან სამეცნიერო გამოცემებში (რეფერირებად და რეცენზირებად ელექტრონულ გამოცემებში) სტატიის (არაუმეტეს ერთის) გამოქვეყნებამდე.

11.4 დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

11.5 სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მოცემული უნივერსიტეტიდან ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ოპონენტი);

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან გადაცემულია დასაბეჭდად:

- საზღვარგარეთ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
- იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში;
- შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში;
- საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);
- საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გადაცემული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს.

12 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

12.1 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ქუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

12.2 სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

12.3 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი. სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული შუამდგომლობის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს თანხმობით, სადისერტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

12.4 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

12.5 სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს:

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადისერტაციო თემას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

- სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის კანდიდატურას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგენის საფუძველზე;
- სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალურ შემფასებლებს;
- სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
- დაცვის თარიღს;
- სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
- სასწავლო მოდულით გათვალისწინებული კომპონენტების (კოლოქვიუმი, სამეცნიერო ნაშრომის შესრულება) შეფასების კრიტერიუმებსა და ახდენს მათ შეფასებას;
- ამტკიცებს სადოქტორო დისერტაციისა და ავტორეფერატისადმი წაყენებული ტექნიკური პარამეტრების და სხვა დამატებითი მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციას;

13 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

- იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს სემესტრში ერთხელ მაინც;
- პასუხისმგებელია საბჭოს მასალების არქივირებასა და საქმის წარმოებაზე;
- წარადგენს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის კანდიდატურას, რომელიც აუცილებელი არ არის იყოს საბჭოს წევრი.
- ვიზირებას უკეთებს ავტორეფერატს გამოსაცემად.

14 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

14.1 სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

- უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სხდომების პროცედურის სრულად დაცვას;
- ადგენს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
- ხელს აწერს გამოცემულ ავტორეფერატზე, რომელიც ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს ინსტრუქციით განსაზღვრულ ადრესატებს.

14.2 უნივერსიტეტის მასშტაბებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამების მენეჯერობა და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანობა დასაშვებია შეითავსოს ერთმა პირმა.

14.3 სწავლული მდივნის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

15 სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

15.1 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის, სულ მცირე, 2/3. გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით.

15.2 სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს და წარმართავს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

15.3 საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

15.4 სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

15.5 სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს „სადოქტორო დისერტაციისა და ავტორეფერატისადმი წარდგენილი ტექნიკური პარამეტრების და სხვა დამატებითი მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში „ინსტრუქცია“), რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო თემისა და ავტორეფერატის მოცულობა, რეკომენდებული

რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალებისა და გამოცემების ნუსხა და ტექნიკურ მოთხოვნები.

- 15.6 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ გამოიცემა ავტორეფერატი და ეგზავნება ინსტრუქციით განსაზღვრულ ადრესატებს.
- 15.7 საბჭო სწავლულ მდივანთან, სადოქტორო პროგრამის მენეჯერთან და დეკანთან შეთანხმებით წყვეტს შემფასებლების დანიშვნის საკითხს, ასევე თემის დაცვის თარიღს.
- 15.8 საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

16 სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

- 16.1 დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეთანხმებით გამოყოფს მინიმუმ ორ შემფასებელს (რეცენზენტს), რომელთაც ეგზავნებათ დისერტაცია და ავტორეფერატი. შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.
- 16.2 შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე პირი, რომელსაც უკავია სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.
- 16.3 შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
- 16.4 დაუშვებელია შემფასებლები იყვნენ ერთი ორგანიზაციის ერთი და იგივე ქვედანაყოფის თანამშრომლები.
- 16.5 შემფასებლის რეცენზია უნდა შეიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას „ქუთაისის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების დებულების“ შესაბამისად. (შეფასება ხორციელდება 16 ელემენტის მატრიცის საშუალებით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 80);
- 16.6 თუ ოფიციალური შემფასებლების ზუსტად ნახევარი ნაშრომს ანიჭებს არაღამაკმაყოფილებელ შეფასებას (49 ქულაზე ნაკლები, ანუ მაქსიმალური შეფასების 61%-ზე ნაკლები), მაშინ ხდება დამატებით ოფიციალური შემფასებლის მოწვევა. თუ მისი შეფასებაც უარყოფითია, ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს შემდგომი დახვეწისა და დამუშავებისათვის. თუ შეფასება დადებითია, მაშინ დოქტორანტს ეძლევა დაცვაზე გასვლის უფლება.
- 16.7 თუ დისერტაცია არ იქნა დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში.
- 16.8 დაცვაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის მოქმედების ვადა არის 3 წელი პირველი კრედიტის მოპოვების დღიდან.
- 16.9 სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს შემფასებლების დასკვნებს და შეფასებას, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, ატყობინებს დაცვის თარიღსაც.

17 სადისერტაციო კომისია

- 17.1 თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის მენეჯერთან და/ან სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანთან და დეკანთან კონსულტაციით, დოქტორანტის პირადი მონაცემებისა და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით ქმნის

სადისერტაციო კომისიას და ამავე სხდომაზე ღია კენჭისყრით განსაზღვრავს მის თავმჯდომარეს.

- 17.2 კომისია იქმნება არანაკლებ 5 პირის შემადგენლობით შესაბამისი პროფილის მქონე სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და მოწვეული სპეციალისტებისაგან.
- 17.3 სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა, უნდა დაკომპლექტდეს ქუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრებით.
- 17.4 სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს ქუ-ს სრული, ასოცირებული ან საპატიო პროფესორი. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან შემფასებელი.
- 17.5 ხელმძღვანელს აქვს კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება;
- 17.6 სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.
- 17.7 სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დოქტორანტის პირად მონაცემებს, მის მიერ კრედიტების ათვისების მდგომარეობას და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს;
- 17.8 სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დაცვისა.

18 დისერტაციის დაცვა

- 18.1 დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:
 - ა) შესრულებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტები.
 - ბ) სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგები დისერტაციის დაცვამდე გამოქვეყნებულია 3 რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში (ელექტრონულ/ან სამეცნიერო გამოცემაში);
 - გ) განხორციელებულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია;
- 18.2 დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
- 18.3 დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.
- 18.4 დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 18.5 დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.
- 18.6 დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:
 - სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის ინფორმაცია დოქტორანტის მიერ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების მიხედვით დაგროვებული ქულების შესახებ;
 - დოქტორანტის მოხსენება (არაუმეტეს 30 წუთისა);
 - რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა შემფასებლების მიერ და ქულათა გამოცხადება;
 - დისერტანტის პასუხები შემფასებლების რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებზე;
 - სამეცნიერო დისკუსია;
 - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ „ქუთაისის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის კვლევითი და სასწავლო კომპონენტების შეფასების დებულების“ შესაბამისად.
 - სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების გამოცხადება.
- 18.7 სადისერტაციო კომისიის ყოველი წევრი საბჭოს სხდომაში მონაწილეობას და შეფასების ბიულეტენის მიღებას ადასტურებს სათანადო ხელმოწერით.

- 18.8 დისერტაციის დაცვის მოწყობა შესაძლებელია ერთი რეცენზენტის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში, თუ მისი რეცენზია და შეფასება დადებითია. თუ რეცენზენტი, რომლის შეფასება უარყოფითია, დაცვას ვერ ესწრება, დაცვა გადაიდება.
- 18.9 სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

19 სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება:

19.1. სადოქტორო დისერტაციის შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- მაქსიმალური შეფასების 85 – 90.9% - ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- მაქსიმალური შეფასების 81 - 84.9% - კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- მაქსიმალური შეფასების 71 - 80.9 % - საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- მაქსიმალური შეფასების 61 - 70.9% - დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ზემოთ ჩამოთვლილი შეფასებებიდან ერთ-ერთის მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- მაქსიმალური შეფასების 41-60% - არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

19.2 საბოლოო შეფასების საფუძველია ოფიციალურ შემფასებელთა და კომისიის წევრთა მიერ ნაშრომის შესრულებისა და პრეზენტაციის შეფასება.

19.3 დოქტორანტისათვის მიებული სამეცნიერო ხარისხის მინიჭება წყდება კომისიის ყველა წევრის და შემფასებელთა მიერ დოქტორანტისათვის მინიჭებული ქულების შეჯამებით.

19.4 ქულათა შეჯამებას და საშუალო ქულის გამოყვანას ახდენენ სადისერტაციო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.

19.5 დისერტაცია ითვლება დაცულად, თუ დისერტანტმა მოაგროვა არანაკლებ 61 ქულა.

19.6 სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს მიღებულ შეფასებას აცნობს ზეპირად, ხოლო დაცვის შედეგები დასამტკიცებლად წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

19.7 დისერტაციის დაცვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის არქივში სავალდებულო შენახვას უზრუნველყოფს სწავლული მდივანი;

19.8 დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ, სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 45 დღის განმავლობაში.

19.9 დადებითი შეფასების მიღების და სადისერტაციო საბჭოს მიერ დისერტაციის დაცვის დამტკიცების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაცვის შემდეგ გამოაქვეყნოს დისერტაცია არაუგვიანეს 6 თვის ვადაში ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით, რაც არის მასზე დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის საფუძველი.

20 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება და დადასტურება

- 20.2 სადისერტაციო საბჭო, დისერტაციის დაცვის დღიდან არაუმეტეს ერთი თვისა, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის დასკვნას და განიხილავს დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიურ ხარისხის მინიჭების საკითხს.
- 20.3 ქუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს შესაბამისი დიპლომი.
- 20.4 დიპლომი გაიცემა არაუდრეს 6 თვის ვადაში დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.
- 20.5 დიპლომში აღნიშნულია სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, საერთო შეფასება და სპეციალობის დასახელება.
- 20.6 დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.
- 20.7 დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

21 დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

- 21.2 დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში მონაცემების გაყალბება ან პლაგიატი) დარღვევის შემთხვევაში.

22 დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

- 22.2 სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. უნივერსიტეტთაშორის სადოქტორო პროგრამის ფორმებია
 - ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
 - დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
 - ერთობლივი ხარისხის მინიჭება;
- 22.3 პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს. განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.
- 22.4 პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში, დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ ქუ-ს და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე პროფესორის დასკვნა. დისერტაციის დაცვას ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც უნდა ესწრებოდეს.
- 22.5 თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მოქმედებს პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.
- 22.6 დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გაცემს ის უნივერსიტეტი, რომელშიც დაცულ იქნა დისერტაცია პარტნიორი უნივერსიტეტის მითითებით.
- 22.7 დისერტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.